პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!


# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

26 სექტემბერი, შაბათი, 1987 წ. № 13 (3015) 26 СЕНТЯБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.


# ДЕНЬ ПРОПАГАНДИСТА

ОТМЕЧАЕТСЯ СЕГОДНЯ, В ПОСЛЕДНЮЮ СУББОТУ СЕНТЯБРЯ.

В этот день проходит деловой смотр готовности пропагандистов достойно выполнить те ответственные задачи, которые ставит время перед работниками идеологического фронта.

Работа пропагандистов сегодня призвана мобилизовать личный состав министерства на успешную реализацию намеченных партией программ всемерного ускорения социально-экономического развития страны на основе перестройки политического мышления. Сейчас как никогда ранее важно, чтобы слушатели прониклись глубоким пониманием исторического значения выдвинутых задач и роли органов внутренних дел в их решении. Вот почему на нынешнем этапе ответственность пропагандиста исключительно велика.

Сейчас проходит определенная перестройка системы политической и экономической учебы, поиски и пробы новых подходов к ее организации. В этой связи очень важно, как каждый пропагандист относится к своим обязанностям. Убежденное слово пропагандиста, должно увязывать происходящий в нашей стране процесс перестройки с практическими задачами конкретных служб на местах.

Призванный учить других, пропагандист сам обязан постоянно и настойчиво учиться, овладевать богатством, содержащимся в трудах классиков марксизма-ленинизма и партийных документах, хорошо владеть оперативной обстановкой — суметь сконцентрировать все это в единое целое.

Главная задача нового учебного года — обеспечение углубленного изучения решений XXVII съезда КПСС и последующих решений партии.

# К НОВОМУ УЧЕБНОМУ ГОДУ

23 сентября в зале коллегии министерства был проведен совещание-семинар по вопросам организации политической учебы личного состава центрального аппарата МВД ГССР в 1987-1988 учебном году, на котором присутствовали секретари первичных партийных организаций, руководители групп, пропагандисты.

В ходе совещания-семинара были рассмотрены итоги осуществления организационных мероприятий по подготовке к началу нового учебного года и задачи первичных партийных организаций, идеологического актива (руководителей групп и пропагандистов) в новом учебном году. В помощь пропагандистам было проведено также инструкторско-методическое занятие по первой теме нового учебного года — «Практическими делами углублять перестройку».

Для участников совещания-семинара лекторами общества «Знание» профессором И. Бакрадзе, доцентом И. Кикнадзе и В. Шишкиным были прочитаны лекции по темам «Актуальные проблемы экономического развития нашей страны», «Революционный характер перестройки и особенности ее современного этапа» и «О международной политике СССР».

პარტიული ცხოვრება — ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

# ანგარიშგება-არჩევნები გრძელდება



აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (საამქრო) პარტიულ ორგანიზაციებში გრძელდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები. დღემდე გამართულ ბევრ კრებაზე დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპით შეჯამდა გაწეული მუშაობა, ასეთი იყო 15 სექტემბერს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების პარტიულ ორგანიზაციაში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის პოლკოვნიკმა მ. ბეჟანიძემ. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის ლეიტენანტი ბ. გელაძე. კომუნისტებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის 8 თვეში გასულ პერიოდთან შედარებით, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ თავიანთი მუშაობით მაინც უკმაყოფილო იყვნენ, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ განახორციელეს სათანადო ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები იმ პირების მიმართ, ვისგანაც მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენა.

თავის გამოსვლაში აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის პოლკოვნიკმა მ. ბეჟანიძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლება მინდობილი საქმისადმი, დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ნარკომანიასა და პროსტიტუციასთან ბრძოლა, პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს იმ კომუნისტების მიმართ, რომლებსაც დავალებული აქვთ ზონალური მომსახურება.

**თ. თავდგირიძე,**
**აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსის თანაშემწე, მილიციის კაპიტანი.**

# СОВЕЩАНИЕ В ЦК КПСС

В ЦК КПСС состоялось совещание с руководителями средств массовой информации и пропаганды, на котором рассматривались некоторые вопросы, связанные с выполнением постановления ЦК КПСС о подготовке к 70-летию Великой Октябрьской социалистической революции.

На совещании выступил член Политбюро ЦК КПСС, секретарь ЦК КПСС Е. К. Лигачев.

Он отметил, что советская пресса активно способствует процессу перестройки, демократизации, гласности, энергично борется против всего отжившего, негодного, утверждает в жизни позитивное. ЦК КПСС оказывает всемерную помощь и поддержку печати.

После апрельского (1985 г.) Пленума ЦК КПСС в советской прессе все активнее публикуются материалы, отражающие разные мнения, что является проявлением демократии, гласности. Но замечено, что некоторые редакции охотно публикуют то, что согласуется с их точкой зрения.

Серьезной задачей является повышение культуры дискуссий, полемики. Всем надо уважительно относиться к мнениям оппонентов, не рубить с плеча. Ведь речь идет о поиске истины в целях укрепления советского образа жизни.

Очень важно проявлять настойчивость в повсеместном распространении ценного опыта перестройки, повышать результативность социалистического соревнования за достойную встречу славного юбилея нашей социалистической Родины.

# პრაქტიკული საქმეებით გავაღრმავოთ გარდაქმნა

**შრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში 1987-88 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა ეძღვნება პარტიის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კონცეფციის თეორიულ და პრაქტიკულ დებულებათა ესწავლას. მეცადინეობის მიზანია დავეხმაროთ მსმენელებს უფრო ღრმად გაერკვნენ გარდაქმნის შინაარსში, მისი ახლანდელი ეტაპის თავისებურებებს და ამოცანებში, იპოვონ თავიანთი ადგილი საბჭოთა საზოგადოების განახლების პროცესში, პრაქტიკული საქმეებით შეიტანონ წვლილი პარტიის დებულებებისა და მითითებების რეალიზაციაში, გახდნენ გარდაქმნის ნამდვილი მებრძოლები.**

**1987-88 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში.**

მეცადინეობის მომზადება-მოწყობის დროს მიზანშეწონილია ვისარგებლოთ სანიმუშო გეგმით, რომელიც შეიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

**1. გარდაქმნის რევოლუციური ხასიათი და მისი თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი.** გარდაქმნა, როგორც რევოლუციურ ცვლილებათა ყოვლისმომცველი მთლიანი პროცესი. პარტია გარდაქმნის ინიციატორი და ხელმძღვანელია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გარდამტეხი ხასიათი. საზოგადოებაში გარდაქმნის გაღრმავება და ზრდა. გარდაქმნის ახლანდელი ეტაპის, როგორც კონსტრუქციული მუშაობის ეტაპის, სოციალურ-პოლიტიკური არსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის პირველი რიგის ამოცანებისა და ეკონომიკური მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ.

**2. შრომითი კოლექტივი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი რგოლია.** შრომითი კოლექტივი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. საწარმო (გაერთიანება) ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირითადი რგოლი, სამეურნეო მექანიზმის რადიკალურ ცვლილებათა საწყისი პუნქტია. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისება, შრომითი კოლექტივების უფლებათა გაფართოება და პასუხისმგებლობის გაძლიერება სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პირობებში. მზადება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შემოღებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, 1987 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების განვითარება.

**3. თითოეული საბჭოთა ადამიანის ეფექტიანი შრომა, მართვაში რეალური მონაწილეობა გარდაქმნის წარმატების გადამწყვეტი პირობაა.** საბჭოთა ადამიანების აქტიური ჩაბმა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნაში. თითოეულისათვის წარმოების, მთელი ეკონომიკური ცხოვრების ბატონ პატრონის გრძნობის ჩანერგვა. დემოკრატიზაციის პროცესის გაშლა, ხალხის თვითმმართველობის გაღრმავება. ადამიანთა შეგნების, ფსიქოლოგიის შეცვლა. კომუნისტთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლი ყველა საქმეში. ხუთწლედში პირადი წვლილის გადიდება თითოეულის მოვალეობაა.

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გარდაქმნის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

**გეგმით დასახული საკითხების შესწავლისას პირველწყაროებია:**

— ვ. ი. ლენინის ნაშრომები „დიადი თაოსნობა“ (თხზ., ტ. 29, გვ. 477-503); **„როგორ მოვაწყოთ შე**ჯიბრება“ (თხზ., ტ. 26, გვ. 471-483); „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ (თხზ, ტ. 27, გვ. 275-329);

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებანი პარტიის XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბ., საბჭოთა საქართველო, 1986, გვ. 3-191; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის აპრილი. თბ., საბჭოთა საქართველო, 1985; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 27-28 იანვარი. თბ., საბჭოთა საქართველო; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 25-26 ივნისი. თბ., საბჭოთა საქართველო, 1987.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე („კომუნისტი“, 1987, 30 ივნისი).

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის მასალები („კომუნისტი“, 1987, 16 ივლისი);

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის სტატია „ადამიანის ფაქტორი, სამეურნეო ანგარიში და გარდაქმნა აგროსამრეწველო კომპლექსში“ („კომუნისტი“, 1987, № 4) და მისი გამოსვლა საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რექტორების, პარტიული ორგანიზაციათა მდივნების, კათედრების გამგეების თათბირზე („კომუნისტი, 1987, 3 ივნისი),

**(დასასრული მე-2 გვ-ზე).**

ИДУТ ОТЧЕТЫ И ВЫБОРЫ

# В ОБСТАНОВКЕ АКТИВНОСТИ

В обстановке возросшей активности комсомольцев, в деловом и конструктивном духе прошло состоявшееся 23 сентября отчетно-выборное собрание комсомольской организации Информационного центра МВД ГССР.

В выступлениях секретаря комсомольской организации ИЦ МВД ГССР лейтенанта внутренней службы В. Абуловой, руководителя «КП» инженера ИЦ МВД ГССР старшего лейтенанта внутренней службы В. Сысоева, руководителя идеологического сектора И. Тамазовой, члена учетно-организационного сектора И. Оганезовой и других комсомольцев отмечалось, что многое сделано по повышению активности и авангардной роли комсомольцев. Существенно улучшена идеологическая работа, в которой наметился отход от прежних стереотипов, проводятся лекции по актуальным и интересующим молодых сотрудников проблемам. Активизировалась деятельность культмассового сектора, эффективнее и целенаправленнее стала работа «Комсомольского прожектора», в частности по выявлению фактов нарушений дисциплины.

На собрании отмечалось, что, несмотря на определенные положительные сдвиги, нет оснований останавливаться на достигнутом. Оставляет желать лучшего ряд организационных вопросов комсомольской работы, например, система приема и снятия с учета комсомольцев. Некоторые молодые сотрудники проявляют пассивность в выполнении своих профессиональных обязанностей и общественных поручений, не изжиты пока еще факты опозданий на работу и т. д.

Собрание, горячо и заинтересованно обсудив проделанную комсомольской организацией за отчетный период работу, признало ее удовлетворительной и приняло соответствующее постановление.

А. ЛЬВОВ.

# პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებით

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში პროფილაქტიკა და ახსნა-განმარტებითი მუშაობა რომ ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა, ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა საკუთარმა გამოცდილებამ. სასოფლო საბჭოს აღმასკომი მუდმივ კომისიებზე და დეპუტატებზე დაყრდნობით ამ გზით გარკვეულ წარმატებებს აღწევს. მოსახლეობის უმრავლესობამ შეიგნო, რომ ალკოჰოლს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ადამიანისათვის და ხელი აიღეს შინაური არაყის გამოხდაზე.

ამ დღეებში დანიშნულების ადგილზე საკუთარი სურვილით ჩააბარეს ომარ გრიგოლის ძე ფუტკარაძემ არაყის სახდელი ქვაბის თავსახური, თეიმურაზ ნოდარის ძე ფუტკარაძემ 20 ლიტრი არაყი, შოთა ბიქტორის ძე ლომიძემ ქვაბის თავსახური და 10 ლიტრი არაყი, ასევე საკუთარი სურვილით ჩააბარეს დანიშნულებისამებრ არაყის სახდელი ქვაბის თავსახურები: ვაჟა ბიქტორის ძე ლომიძემ, გუგულა ივანეს ძე სამყურაშვილმა, ვახტანგ გრიგოლის ძე ჟღენტმა, ელგუჯა სარიდანის ძე ჟღენტმა, და სხვებმა, მაგრამ შინაური არაყის გამოხდის აღკვეთა ამით არ დამთავრებულა. ზოგიერთები ისევ და ისევ არ იშლიან თავისას და ეწევიან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებით მივაღწიოთ იმას, რომ სოფელში მთლიანად აღიკვეთოს შინაური არაყის გამოხდა. დრო, სანამ გვიან არ არის, თავიდან მოვიშოროთ ყველა ის მანკიერება, რაც ხელს უშლის და აფერხებს დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის დაჩქარებას.

ჯ. გოგსაძე

ზესტაფონის რ-ის ცხრაწყაროს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

# НА СЕЛЬСКОМ СХОДЕ

В тот день в селе Церовани и стар и млад направлялись к центру селения. Все были взволнованы. Предстояло всей деревней рассмотреть факт правонарушения, обсудить его причины и сделать соответствующие выводы на будущее.

...Абрам Гулиашвили в состоянии алкогольного опьянения ранил своего близкого соседа З. Ростиашвили. В деревне А. Гулиашвили все знают как неисправимого пьяницу. Исполком сельсовета, участковый инспектор неоднократно пытались вернуть его к нормальной, здоровой жизни, принимали меры, но...

Сурово осудили совершившееся преступление члены сельсовета — труженики деревни, домохозяйки, молодежь. В их выступлениях чувствовались сердечная боль и гнев. Боль оттого, что они не смогли своевременно помочь соседу, односельчанину, не осознали глубоко возможные результаты пьянства.

Подобное всенародное осуждение правонарушения, открытость общественного мнения, смелые слова осуждения подобных деяний сейчас особенно ценны. Надо полагать, что происшедшее преступление и сказанное на сельсовете станет для всех хорошим уроком. Поддержка правоохранительных органов населением имеет большое значение, особенно в деревне. Только совместными усилиями можно навести образцовый порядок, искоренить преступность и вызывающие ее причины.

З. ЗАКАИДЗЕ,
лейтенант милиции, старший участковый инспектор Мцхетского РОВД.

# მიეძღვნა „ახალგაზრდა თანამშრომლის დღეს“

„ფ. ე. ძერჟინსკის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წალენჯიხის შს რაიგანყოფილების უფროსის, მილიციის მაიორის ს. ჯოჯუას ამ გამოსვლით გაიხსნა წალენჯიხის შს რაიგანყოფილებაში პარტიის სამაყო შვილის, მგზნებარე რევოლუციონერის ფ. ე. ძერჟინსკის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „ახალგაზრდა თანამშრომლის დღე“.

შეხვედრაზე მიწვეულნი იყვნენ შს ორგანოების ვეტერანი მუშაკები: ლ. ჩურგულია, გ. მესხია, ო. კაკაჩია, ჩ. ზარქუა, ნ. გიგიბერია, რომლებმაც თავიანთი მრავალი წლის გამოცდილებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში განვლილი გზის შესახებ ისაუბრეს საღამოზე მოსულ ახალგაზრდა თანამშრომლებთან.

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა მოწმობისა და ტაბელური იარაღის გადაცემის ცერემონიალი, მათთვის ვინც ახლა იწყებს შინაგან საქმეთა ორგანოებში რთულ და საინტერესო სამსახურს. გაიმართა შეჯიბრი „მაკაროვის“ სისტემის იარაღით სროლაში, რომელსაც ვეტერანი თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

იმავე საღამოს წალენჯიხის შს რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობისა და საზოგადოებრიობის ძალებით შედგა ერთობლივი რეიდი, რომლის დროსაც გამოვლინდა 90 წესრიგის დამრღვევი მძღოლი, რომელთაგან 5 არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომანქანას.

გ. კალანდია,
წალენჯიხის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.



სურათზე: შეხვედრის დრის.

ТОЛЬКО ФАКТЫ

В период с 10 по 21 сентября в Тбилиси в результате проведения оперативно-профилактического мероприятия проделана следующая работа: по линии УР и БХСС раскрыто несколько десятков преступлений; задержано 8 разыскиваемых, выявлено 190 тунеядцев, трудоустроено 49 человек и 67 лиц, ранее вернувшихся из мест лишения свободы, выявлено пьяных — 201, в ЛТП помещено 10 алкоголиков, выявлено 5 фактов нарушений правил торговли спиртными напитками, изъято 25 самогонных аппаратов и 367 литров водки домашней выработки, выявлено 17 наркоманов и потребителей наркотиков, помещено в ЛТП 9 наркоманов и т. д.

Мероприятие продолжается.

# პრაქტიკული საქმეებით გავაღრმავოთ გარდაქმნა

(დასასრული)

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. იაკოვლევის სტატია „საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა და საზოგადოებრივი მეცნიერებანი“ („საქართველოს კომუნისტი“, 1987, № 8) და მისი გამოსვლა პარტაქტივთან შეხვედრაზე ქ. კალუგაში („სოვეტსკაია კულტურა, 1987, 21 ივნისი).

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში“ („კომუნისტი“, 1987, 28 აპრილი).

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ („კომუნისტი“, 1987, 28 ივლისი).

**მეცადინეობისათვის მზადებისას დამხმარე მასალად შეიძლება გამოვიყენოთ** ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“ მე-9 ნომერში გამოქვეყნებული თეორიული კონსულტაცია თემის საკითხებზე და ჟურნალის ამ ნომრის მოწინავე სტატია „განვახორციელოთ გარდაქმნის იდეები“. პროპაგანდისტს ხელს შეუწყობს ჟურნალ „კომუნისტის“ პუბლიკაციებიც: ლ. ი. აბალკინისა და ა. ი. ანჩიშკინის კითხვებზე პასუხი, რომელშიც გაშუქებულია წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში რევოლუციურ ცვლილებათა არსი, სრული სამეურნეო ანგარიშის როლი და ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის პრინციპებთან მისი შეთავსების პირობები (1987, № 5); სტატიები: ე. გაიდარისა — „ხანმოკლე და ხანგრძლივი მიზნები ეკონომიკაში“, რომელშიც დასახულია მიდგომა სამეურნეო საქმიანობის საბოლოო სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების გაგებისადმი (1987, № 10) და ე. ნიასინისა — „საბჭოთა ეკონომიკა გარდატეხის მომენტში“, რომელიც წარმოაჩენს ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის კონცეფციის შინაარსს (1987, № 12). პროპაგანდისტებს გამოადგებათ ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეში“ გამოქვეყნებული სტატიები: ვ. ბუდარინისა „...ვაკეთოთ საქმე და საქმე“, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ ლენინურ იდეებს თანამედროვეობისათვის (1987, № 6); ვ. ვიუნიცკისა — „გარდაქმნის რევოლუციური არსი“, რომელიც განმარტავს გარდაქმნის რევოლუციურ ხასიათს, სოციალურ-პოლიტიკურ რევოლუციებთან მის მსგავსებასა და განსხვავებას, რადიკალური რეფორმის, როგორც სოციალიზმის პირობებში არსით რევოლუციური გარდაქმნების, საშუალების მნიშვნელობას (1987, № 4); ა. ულიბინისა — „გარდაქმნა, ეკონომიკის დაჩქარების საშუალება“, რომელიც აშუქებს სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების წინამძღვრის, მეთოდოლოგიურ საკითხებს (1987, № 1). თემის უფრო კერძო ასპექტებისადმი მიძღვნილი სტატიები რეკომენდებულია უშუალოდ კონსულტაციათა ტექსტში.

**პროპაგანდისტებს მეცადინეობის მომზადებაში დაეხმარებათ რესპუბლიკური ჟურნალების პუბლიკაციები:** „გარდაქმნის წახნაგები“ („საქართველოს კომუნისტი“, 1987, № 4, გვ. 15-20); „ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციის გზით“ („საქართველოს კომუნისტი“, 1987, № 8, გვ. 24-31); „ახლა მთავარია გარდაქმნის პრაქტიკული შედეგები“ („ეკონომისტი“, 1987 № 6, გვ. 3-12); „გარდაქმნის თეორიიდან ცოცხალი პრაქტიკისაკენ“ („ეკონომისტი“ 1987, № 3, გვ. 3-12); „გარდაქმნის პირველი ნაბიჯები“ („ეკონომისტი“, 1987, № 2 გვ. 3-12).

გარდაქმნის არსის მისი თანამედროვე ეტაპის თავისებურებებისა და ამოცანების უკეთ გარკვევისათვის, პარტიული ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების პრაქტიკული მუშაობის სრულყოფის კონკრეტულ ამოცანათა კონსტრუქციული საქმიანი განხილვისათვის, მსმენელთა გააქტიურებისათვის მიზანშეწონილია დავსვათ მთელი რიგი კითხვები და მათ გარშემო შევიმუშაოთ მსჯელობა. ამ კითხვებმა ხორცი უნდა შეასხას შესასწავლი მასალისადმი პრობლემური მიდგომის პრინციპს. მსმენელებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი. პრობლემური სიტუაციების განხილვის დროს შესაძლებელი იქნება დაისახოს სწორი და პრაქტიკულად ეფექტიანი გადაწყვეტილებანი.

შეკითხვები შეიძლება იყოს ასეთი:

— რით უნდა გამოიხატებოდეს, თქვენი აზრით, თქვენი პარტიული ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის (ბრიგადის, უბნის, საამქროს, ფერმისა და ა. შ.) მუშაობის ძირეული თვისებრივი გარდაქმნა. რა ცვლილებები უნდა მოვახდინოთ ამისათვის, რა ნაკლოვანებანი და ვიწრო ადგილები უნდა დავძლიოთ?

— რა წვლილის შეტანა შეუძლია თქვენი ბრიგადის (უბნის, საამქროს, ფერმის და ა. შ.) კოლექტივს საწარმოს (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სკოლის, ინსტიტუტის, ორგანიზაციის და ა. შ.) მუშაობის გარდაქმნაში. რა საწარმოო-სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხები უნდა გადაწყდეს?

— თქვენი აზრით, რით უნდა გამოიხატებოდეს კონკრეტულად კომუნისტთა ავანგარდული როლი თქვენი კოლექტივის, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაში?

— რით უნდა გამოიხატებოდეს ფსიქოლოგიური გარდაქმნა თქვენს კოლექტივში? საბჭოთა ადამიანის რა თვისებების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იდეოლოგიურ მუშაობაში?

— რა ახალი პირობები იქმნება თქვენს კოლექტივში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ? თქვენი აზრით, რა სიახლე შეაქვს მას კოლექტივის ცხოვრებაში?

**ყველაზე მომზადებულ მსმენელებს შეიძლება შევთავაზოთ სანიმუშო პრაქტიკულ დავალებებად:** დაამუშაონ წინადადებანი შრომითს კოლექტივში გარდაქმნის დაჩქარების შესახებ; გააანალიზონ უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც დგება საწარმოში სრული სამეურნეო ანგარიშის შემოღების შემდეგ, კოლექტივში თვითმმართველობის განვითარების რეზერვები; განსაზღვრონ კოლექტიური იჯარის დამკვიდრება-სრულყოფაზე, საწარმოო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, სოციალური სფეროს პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტაზე, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებაზე შრომითი კოლექტივის გავლენის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიება მიზანშეწონილია მომავალში გავაანალიზოთ დავალებათა შესრულების შედეგებიც.

**განხილვის დროს გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნა და პრაქტიკული წინადადება პროპაგანდისტებმა უნდა განაზოგადონ და გააცნონ პარტიულ კომიტეტს, ადმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პროპაგანდისტებსა და მსმენელებს შეუძლიათ გამოვიდნენ ამ წინადადებებით პარტიულ კრებებზე. წინადადებათა გამო განხორციელებული ღონისძიებანი უნდა ვაცნობოთ მსმენელებს მომდევნო მეცადინეობებზე.**

**(Русский текст смотрите в газете «Заря Востока» от 16 сентября т. г.).**

**რედაქციისაგან: ამ საკითხზე გამოთქმული თქვენი პრაქტიკული წინადადებები შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ რედაქციაში.**

# ПРАЗДНИК БРАТСТВА И ТВОРЧЕСТВА

## ДВА ПАМЯТНЫХ ДНЯ

**Прочные и давние, уходящие своими корнями в глубь веков традиции связывают армянский и грузинский народы, плечом к плечу, в едином строю братских союзных республик идущие по пути социального прогресса и строительства коммунизма. Еще одним ярким образцом и свидетельством этой братской дружбы стал состоявшийся на днях визит в столицу Грузии самодеятельных коллективов Министерства внутренних дел Армянской ССР, вылившийся в настоящий праздник дружбы и творчества, оставивший неизгладимые впечатления у всех его участников.**

### ДЕНЬ ПЕРВЫЙ

К этому визиту, в рамках обменных мероприятий II Всесоюзного фестиваля народного творчества, посвященного 70-летию Великой Октябрьской социалистической революции, давно и тщательно готовились сотрудники Министерства внутренних дел Грузинской ССР. И вот, наконец, настал день долгожданной встречи...

19 сентября в 8 часов 30 минут утра на перрон Навтлугского вокзала столицы нашей республики прибыл поезд «Ереван — Тбилиси». Вскоре весь перрон заполнила шумная суета нагруженных музыкальными инструментами гостей — представителей самодеятельных ансамблей МВД Армянской ССР, тепло и радушно встреченных сотрудниками органов внутренних дел Грузии. С первых же минут пребывания на грузинской земле гости были окружены заботой и вниманием хозяев. Члены армянской делегации были размещены на одной из цхнетских турбаз — после непродолжительного отдыха им предстояло провести концерт в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского.

В пять часов вечера зал клуба был полон гостей. Все с интересом и нетерпением ожидали выступления армянских гостей. Среди присутствовавших на концерте были руководители министерства, Политического отдела МВД ГССР. Перед началом концерта гостей приветствовал заместитель начальника политического отдела МВД ГССР подполковник внутренней службы В. Абуладзе, который в своем выступлении подчеркнул большую значимость подобных мероприятий для укрепления дружбы и творческого сотрудничества между работниками ОВД обеих республик. С ответным словом от имени гостей выступил начальник политической части Армянского УВДТ майор милиции В. Габриелян.

Вскоре начался и концерт, в ходе которого зрителям свое искусство продемонстрировали вокально - инструментальный ансамбль Дома культуры им. Г. Атарбекяна, духовой оркестр Управления внутренних дел Еревана, Кироваканский ансамбль народных инструментов, участковый инспектор РОВД Горяси лейтенант милиции В. Элоян.

Зрители тепло встречали выступления артистов, после каждого номера в зале долго не смолкали аплодисменты. Самое большое признание получило выступление духового оркестра. Подобному отлаженному и высокопрофессиональному исполнению могли бы позавидовать многие известные коллективы. И основная заслуга в этом успешном выступлении принадлежит, несомненно, руководителю оркестра, заслуженному деятелю искусств Армянской ССР подполковнику милиции Б. Григоряну. «Наш коллектив сформировался в 1972 году и уже дважды был признан лауреатом Всесоюзных конкурсов среди самодеятельных коллективов МВД СССР. — с гордостью представляет нам свой коллектив Б. Григорян. — все музыканты и сейчас постоянно работают над повышением своего музыкально - художественного уровня, стремятся разнообразить свой репертуар».

Настоящим украшением концерта стали армянские мелодии, исполненные ансамблем народных инструментов, в составе которого с особым вдохновением в этот день играли члены одной семьи — Владимир Кроян (руководитель ансамбля), его дочь Эльмира и пятнадцатилетняя внучка Нуне.

Современными бодрыми и веселыми ритмами заполнило программу концерта выступление вокально - инструментального ансамбля, в состав которого входили П. Карапетян, М. Абрамян, Г. Аракелян и О. Галустян.

Наверное, до сих пор не покидает чувство удивления зрителей, наблюдавших выступление В. Элояна, а ведь это — главная цель каждого иллюзиониста. Около двух часов продолжался концерт, никого не оставивший в зале равнодушным — настолько ярким и красочным было выступление армянских артистов.

Вскоре подошел к концу первый день дружеского визита. Гости отправились отдыхать в Цхнети, а на следующий день их самих ждала интересная и насыщенная программа — экскурсии по Мцхета и Тбилиси.



Памятную грамоту заслуженному деятелю искусств Армянской ССР подполковнику милиции С. Григоряну вручает заместитель начальника политотдела МВД ГССР подполковник внутренней службы В. Абуладзе.



Во время осмотра выставки работ самодеятельных художников МВД ГССР.





### ДЕНЬ ВТОРОЙ

Теплым воскресным утром два «Икаруса», заполненные гостями, направились в древнюю столицу Грузии — Мцхета. В первую очередь автобусы, в которых здесь и там слышалась армянская, грузинская и русская речь, направились к Мцхетскому монастырю Джвари. С большим интересом осматривали представители одной из древнейших наций Джвари — замечательный памятник не менее древней культуры Грузии. Здесь же они устроили импровизированный концерт и даже заслужили горячие аплодисменты находившейся там иностранной делегации. Так в монастыре возникла еще одна интернациональная связь — между туристами из ГДР и армянскими гостями.

Следующим объектом экскурсии стал великолепный памятник, центр культуры грузинского народа — храм Светицховели. А закончилась экскурсия уже в Тбилиси около могилы замечательного поэта Саят Нова — человека, который проповедовал и утверждал всей своей жизнью и искусством идею дружбы между армянским и грузинским народами.

Вечером, покидая столицу Грузии, гости из Армении поделились своими впечатлениями от визита, оставив следующие записи в наших блокнотах:

В. Габриелян: «Мы, конечно, ждали теплой встречи, но гостеприимство и внимание, которым мы были окружены, превзошли все ожидания. У многих из нас такое чувство, что мы и не покидали родных стен. Уехав из Армении, мы здесь словно вновь оказались у себя дома...».

Б. Григорян: «Очень хороший прием, ничего кроме благодарности нельзя сказать гостеприимным хозяевам. К тому же здесь я встретил многих своих старых друзей, например, руководителя ансамбля «Мхедрули» Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского М. Кобешавидзе».

В. Элоян: «Впечатлений очень много, и все они самые что ни на есть отрадные. Надо бы почаще проводить подобные мероприятия. Здесь я подружился со своими коллегами и как комсорг своего райотдела хочу содействовать установлению деловых контактов нашей молодежи с комсомольскими организациями вашего министерства внутренних дел. Очень понравились нам экскурсии во Мцхета и Светицховели».

Список подобных отзывов можно было бы и продолжить, но всех их объединяла одна постоянно повторяющаяся в записях и при расставании фраза: «Благодарим за гостеприимство и ждем вас у себя в Армении...» И сегодня, по приглашению гостей из Армении, продолжая традицию творческих контактов, в братскую республику с ответным визитом направились представители самодеятельных коллективов МВД ГССР.

Надо ли говорить о пользе и необходимости подобных контактов, несущих радость творческого общения, утверждающих идеалы дружбы и добрососедства. Кстати, в ближайшее время тбилисцы примут посланцев Азербайджанской ССР, а затем также нанесут им ответный визит.

И еще одно маленькое наблюдение напоследок. По дороге во Мцхета в одном из автобусов, где все находились в приподнятом настроении, сотрудник ДПС Кироваканского РОВД, солист ансамбля народных инструментов Хачик Мирзоян громко и самозабвенно пел народные армянские песни. Неожиданно с заднего сиденья послышалось тихое пение, которое постепенно набирало силу и становилось все громче — то молодежь вокально - инструментального ансамбля красивыми и стройными голосами пела популярную грузинскую песню. Очень хотелось в благодарность исполнить армянскую песню, но, к сожалению, помешало незнание языка и, увы, отсутствие вокальных способностей. Но это обстоятельство не омрачило праздничное настроение — ведь эти два дня все, и гости и хозяева, общались на одном и понятном всем языке — языке искусства и дружбы.

**Материалы для полосы подготовили З. Гомартели, В. Надирадзе, А. Цатуров и фотокорреспондент Р. Антонян.**



Выступают наши гости из Армении.



На экскурсии по Мцхета.



ზაალ მესხიშვილი — რომანი

# მზე ისევ გამოანათებს

ბერძული მოღუშული იჯდა თავის კაბინეტში და კარს მიჩერებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს და ზღურბლზე ვიღაც ძალიან საპატიო კაცის გამოჩენას ელოდა, რომ მაშინვე სავარძლიდან წამოვარდნილიყო, წინ მიგებებოდა. მერე თავი გაიქნია და ფართო, განიერი ხელები მაგიდაზე გაშალა. ცოტაც კიდევ და კარის ზღურბლზე ოთარ ტრაპაიძეც გამოჩნდა.

— ძალიან ცუდ საქმეზედ დაგიძახეთ, ამხანაგო ოთარ.

— რა მოხდა ასეთი?

— ხომ იცით, ხალხი როგორია, თუ რაიმეს მოჰკრეს ყური, მერე უტიე, ათასნაირ კუდს მოაბამენ. ზოგჯერ მთლად პატიოსან კაცსაც კი გაათახსირებენ.

ოთარ ტრაპაიძე მისადგმელ მაგიდასთან დაჯდა. ჩაახველა და ბერძულისაკენ შემობრუნდა.

— მაგრამ ხალხის ხმა უფრო ხშირად მაინც მართალია.

— რას ამბობ, ვეჟო! განა ეს მართალია? — ბერძულმა ხელში რვეულის ფურცელი ააშრიალა..

— ამბაკოვიჩ, მე ხომ არ ვიცი მანდ რა სწერია.

— არ იცით? აი, წაიკითხეთ და გაიგეთ.

ბერძულმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითით ოთარ ტრაპაიძეს ის ფურცელი გადმოუგდო. ოთარმა ფურცელი აიღო, გადააბრუნა და ნელა ჩაჰყვა.

„შერცხვენილი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ბერძულს!

ამ წერილის ასლები მე დავაგზავნე ზემდგომ ორგანოებში, სადაც კი საჭიროთ ვცანი, ალბათ თქვენც პასუხს გაგებინებენ, როგორც ულირს ხელმძღვანელს, რადგანაც არ შეიძლება თქვენც არ იცოდეთ პარტიული კომიტეტის მდივნის ოთარ ტრაპაიძის საქმენი საგმირონი. იცით, მაგრამ წაუყრუეთ რადგანაც ხელი ხელს ბანს და ორივენი კიდევ პირს. აბა რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ეს გარეწარი აქამდე სოფელ ბერმუხას რყვნის და ანგრევს," — ოთარმა მწარედ გაიცინა და თავი გააქნია. ბერძული ჯიუტად მიჩერებოდა სახეში, თვალს თვალში უყრიდა. „პარტიული კომიტეტის მდივანი ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს. ეს ვაჟბატონი კი მხოლოდ და მხოლოდ სიგლახეზე ფიქრობს, გადაეკიდა მერგოლურ ლალი ვარდოსანიძეს და აღარ იცის რა მოუხერხოს, უნდა რომ გზას ააცდინოს, აქედან გამომდინარე მთავარ აგრონომ ზურაბ ერგემლიძესაც მტრობს, რადგანაც იცის, რომ ერგემლიძეს ლალი უყვარს. ფარულად ერგემლიძეს ელაქუცება, მაგრამ ისე სამარეს უთხრის.

საოცარია ერთი რამ, ნუთუ თქვენ არ იცოდით თუ ვისაც აგზავნიდნენ ბერმუხაში? იცოდით მაგრამ მასთან ძველი მეგობრობა გაკავშირებდათ და ამიტომ მის წინააღმდეგ აღარ წახვედით. ტრაპაიძე სახელგატეხილი კაცია. ადრე ის დაკავშირებული იყო მძარცველთა ბანდასთან, რომელიც თბილისში მოქმედებდა ვინმე „ჩიკის" მეთაურობით, რომელზეც რამოდენიმე კაცის სიცოცხლეა ცოდვად დადებული. ყველა ბანდიტი შეიპყრეს, ტრაპაიძე კი საქმიდან მშრალად გამოძვრა. მერე გავლენიანი ნათესავები მოიშველია და პატარა საქმეში შეყო თავი. იმ ნათესავებმა ხელი კიდევ წამოკრეს და პარტიაშიც შევიდა და აი, ბერმუხის პარტიული კომიტეტის მდივნობამდე მიაღწია. ამ პარტორგანიზაციას ყოველთვის კარგი ტრადიციები ჰქონდა, კარგი საქმეებიც კეთდებოდა. ახლა კიდევ ხედავთ? ვის ხელში მოხვდა ასეთი დიდი საქმე.

ზურაბ ერგემლიძე და ლალი ვარდოსანიძე ორივენი მოწინავე და კარგი მუშაკები არიან. ეს თქვენც კარგად იცით და სოფელმაც. ეხლა კი ტრაპაიძეს უნდა ერგემლიძის ჩამოშორება და შეიძლება სისხლიც დაიღვაროს. გთხოვთ ეს წერილი გაიტანოთ კრებაზე, განიხილოს ხალხმა და სათანადო ზომებიც მიიღოთ, ჯერ სანამ გვიან არაა, მერე დაგვიანდება და პატიოსან ხალხს უკვე ვეღარაფერი ეშველება თუ ამას არ გააკეთებთ, თქვენ მაშინ ყველაზე უფრო დიდი დამნაშავე იქნებით. აი ყოველივე ის რისი შეტყობინებაც მსურდა, რადგანაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ქვეყნად სინდისმა და პატიოსნებამ იზეიმოს ეს არის ამ წერილის მიზანი და მეტი არაფერი".

ოთარმა წერილი დირექტორის მხარეს გადადო და გაიღიმა.

— ყველაფერი ზუსტად ცოდნია, რას ვერჩით.

— აი ასეთია ხალხი, ერთი თუ რამეში შეცდი. არაფერს არ გაპატიებს, სულ სახეში მოგაფარებს.

ტრაპაიძემ შუბლი შეიკრა.

— რაო, თქვენ ფიქრობთ, რომ ამ საზიზღარი შენათითხნის უკან ხალხი დგას — ტრაპაიძის თვალებში ცეცხლი აელვარდა.

— მა ციდან ხომ არ ჩამოვარდა, ვეჟო! ვიღაცამ ხომ მოიცალა და დაწერა. ასე არ არის?

— ის ვიღაცა კიდევ ნამდვილი პროვოკატორია და უსინდისო ადამიანი.

— აა, ეგრე არ ვარგა, ამხანაგო ოთარ. ჯერ ხომ ჩვენ არ ვიცით, ვინ დაწერა.

— ამას რა დიდი ცოდნა უნდა, ადამიანი, რომელიც მეორე მართალ კაცს ასეთ საზიზღარ ცილისწამებლურ წერილს დაუწერს, ის ნამდვილი დამნაშავეა.

— ჩემო ოთარ, მართალია ჩვენ დიდი ხანი არაა რაც ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ მე უკვე წარმოდგენა მაქვს თქვენზე. ეს წარმოდგენა რასაკვირველია დადებითია, მაგრამ ამ წერილზე რაიმე რეაგირება მაინც უნდა მოვახდინოთ. ხომ ხედავთ მარტო მე კი არ მწერს, სხვებისთვისაც მიუწერია.

ოთარს უკვე ცეცხლი ეკიდებოდა. თავს ძლივს იკავებდა.

— მოახდინეთ მერე რეაგირება. რჩევასაც გაძლევთ — კრებაზე განიხილეთ ტრაპაიძის საქმე.

პარტიული კომიტეტის მდივანი კარისაკენ წავიდა, უცბად გამოაღო და ჩქარი ნაბიჯებით გავიდა.

ბერძულმა მდივანს მთავარი აგრონომის მოძებნა დაავალა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. № 12.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## სპორტი — СПОРТ

**В ЛИВОРНО** (Италия) состоялся третий чемпионат мира среди полицейских по стендовой стрельбе, в котором участвовали 120 спортсменов из 14 стран, в том числе СССР, который представляли члены общества «Динамо».

В командном зачете первенствовали стрелки ЧССР — 407 очков. Два очка победителям уступили динамовцы. На третьем месте сборная Италии.

В личных соревнованиях самым метким был К. Мандрик из Кировограда. На втором месте — Р. Мухамедьяров из Ташкента.

* * *

**24 სექტემბერს** სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის 55-ე ჩემპიონატმა კალათბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, თბილისის ტურში მონაწილეობას ღებულობენ: მოსკოვისა და თბილისის დინამოელები, დონეცკის „შახტიორი" და ცსკა.

პირველ მატჩში ქართველი კალათბურთელები დონეცკის „შახტიორს" შეხვდნენ. დინამოელებმა ალმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და პირველი გამარჯვება მოიპოვეს — 86:83.

ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 82:76.

* * *

**НА СПОРТИВНОЙ** базе учебного центра УПО МВД ГССР закончился турнир волейболистов тбилисского гарнизона, посвященный 70-летию Великого Октября.

В соревнованиях приняли участие свыше семидесяти бойцов огненного фронта районных подразделений, а также сборные команды объектовых подразделений города Тбилиси. Отлично выступили пожарные завода им. Димитрова (начальник подразделения майор внутренней службы Г. Чедия), которые в финале обыграли сборную Заводского района со счетом партий 2:1. Победителям вручены дипломы и кубок УВД Тбилгорисполкома.

**А. МАЛАЯНЦ,**
**судья всесоюзной категории.**

* * *

**ვ. ი. ლენინის** სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველობა ავტომრავალჭიდში. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნაკრებმა. ცალკეული სახეობების მიხედვით გაიმარჯვეს: „ჟიგულის" მარკის ავტომანქანებით მრავალჭიდში — მ/ს ლეიტენანტმა ზ. ტაკაშვილმა; „უაზ"-ის მარკის ავტომანქანებით მრავალჭიდში — მილიციის უფროსმა სერჟანტმა თ. დათაძემ.



# ტკივილიანი ხსოვნა დაგვიტოვა...

მისთანეებზე ამბობენ ნამდვილი ჩეკისტიაო — საქმის ერთგული, პრინციპული, ინიციატივიანი. მისთანეებს ნამდვილ კაცურ კაცს ეძახიან — კარგ მეოჯახეს, მეგობრულს, გაჭირვებულის გვერდში ამომდგომს.

დავით დუნდუას ახლობლებს — შვილებსა და მეგობრებს მართლაც აქვთ საამაყო, მუდამ მის გვერდში, მუდამ მასთან რომ იყვნენ. დიახ, სამწუხაროდ იყვნენ... დღეიდან კი გულში სათუთად შეინახავენ მის ხსოვნას, — შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი, მილიციის პოდპოლკოვნიკი, კომუნისტი დავით დიანოზის ძე დუნდუა ნაადრევად გამოაკლდა ჩვენს რიგებს.

ნებისმიერი ბიოგრაფიული მონაცემები მშრალად მოგვეჩვენება თუ იგი სულით მდიდარ კაცს ეკუთვნის. ასეთად ვიცნობდით ჩვენ დავითს — მისი [illegible] და ახლობლები.

დაიბადა 1920 წელს. შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ სწორედ იმ დროს მოვიდა როცა ყველაზე მეტად უჭირდა ქვეყანას: 1941 წელს იგი რიგითი მილიციელია, შემდეგ სისხლის სამართლის სამძებროს გამომძიებელი. საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსადაც მუშაობდა, იქედან კი სოც. საკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროს რწმუნებულად გადაიყვანეს. 1969 წლიდან, პენსიაში გასვლამდე, დავით დუნდუას ჯერ ნავთლუღის, ხოლო შემდეგ სადგურ თბილისის მილიციის სახაზო განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა.

უმწიკვლო, ამაგდარ ჩეკისტს მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებდა. უფასებდნენ კიდეც: სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან მას სამ ათეულზე მეტი წახალისება ჰქონდა მიღებული.

დანაშაულის გახსნის უტყუარი ალღო ჰქონდა, შემოქმედებითად უდგებოდა და თვითონვე თავკაცობდა საქმეს. ახლაც ალტაცებაში მოვყავართ მის მიერ ჩატარებულ ოპერაციებს. არც სხვის შრომას ტოვებდა შეუმჩნევლად, ახალგაზრდებმა ბევრი რამ ისწავლეს მისგან. დამსახურებულ პენსიაზე მყოფს, გული შინ მაინც არ უდგებოდა, ხშირად შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან რკინიგზის მილიციის სამმართველოში, გვესაუბრებოდა, თუმცა საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, იუმორის საოცარი გრძნობაც ჰქონდა...

ასე ღიმილით წავიდა იგი ჩვენგან და გულში მწარე ტკივილი დაგვიტოვა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# С ЗАБОТОЙ О ДЕТЯХ



**БОЛЬШОЕ** внимание уделяется шефской работе с воспитанниками Эцерского детского дома руководством, первичной партийной организацией, инспекцией по делам несовершеннолетних Самтредского РОВД. Работники отдела — частые гости у детей, много делают для улучшения условий их жизни и учебы.

Единодушным решением всего личного состава РОВД получаемые сотрудниками в качестве поощрений денежные премии перечисляются воспитанникам детского дома. К первому сентября на деньги, перечисленные из [illegible] отдела для младших воспитанников детского дома, была куплена школьная форма. В ближайшем будущем в детском доме намечено создать «Клуб юных дзержинцев», который призван оказать помощь работникам административных органов в правовом воспитании школьников.

Воспитанники детского дома также не остаются в долгу, в благодарность за заботу они активно участвуют в проводимых РОВД общественно-культурных мероприятиях. Так недавно детский ансамбль народных инструментов «Чанги» принял участие в праздновании «Дня молодого сотрудника», приуроченного к 110-летию со дня рождения пламенного революционера Ф. Э. Дзержинского. Выступление «Чанги», вместе с которым в гостях у сотрудников отдела побывали музыкальный руководитель ансамбля М.Рафаэлов, директор школы П. Готошия и старшая пионервожатая Ц. Верулеишвили, было тепло встречено всем коллективом и наверняка надолго запомнится сотрудникам отдела.

После концерта работники инспекции по делам несовершеннолетних вместе с членами ансамбля побывали в Парке культуры и отдыха. Большую радость доставило детям посещение автодрома. Вот уж действительно, почаще надо проводить подобные запоминающиеся мероприятия.

**Р. ГИРДАЛАДЗЕ,**
**капитан милиции, заместитель начальника Самтредского РОВД по политической части.**

**НА СНИМКЕ:** выступление «Чанги» перед личным составом Самтредского РОВД.

## ტელევიზია

**ოთხშაბათი, 30. IX**
**პირველი პროგრამა**
**19.00** ფეხბურთი უეფას თასზე: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სოფია).

**რადიო**
**პარასკევი, 2. X**
**მეორე პროგრამა**
**13.10** „როცა მშობელი ლოთობს" — სტუდიაშია სანიტარულ-ჰიგიენური განათლებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრის მთავარი ექიმი ვ. გოცაძე.



**შაბათი, 3. X**
**პირველი პროგრამა**
**20.50** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (თბილისი).

**კვირა, 4. X**
**19.30** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ასკ (კიევი) — „დინამო" (თბილისი).

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, მარჯანიშვილის 29. უე 07196